თბილისის პროკურატურა

0131 ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №8 ტელ: 2 405 412; 2 405 411

KARR1398237314525

№13/01-27790 **30 / აპრილი / 2025 წ.**

მოქალაქე კახაბერ ჟორჟოლიანს
(მის: ქ.თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N57გ)

ბატონო კახაბერ,

თქვენი N39047 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2024 წლის 19 ივლისს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის № 010190724801 საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიების ფარგლებში, 2024 წლის 24 ოქტომბრის N12/24285 განჩინების საფუძველზე, 12 თვის ვადით განკარგვის უფლებით ყადაღა დაედო ქ.თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირზე ბოჭორმის ქუჩა 50/18-ში მდებარე სასტუმრო ,,ლონდონ პალასს“ (მესაკუთრე შპს ,,Unique Stay Hotels”-ს საკადასტრო კოდი 01.17.13.041/009). ამასთან, გაცნობებთ, რომ სასტუმრო ,,ლონდონ პალასი“-ს ვერანდის მსუბუქი (კარბოლუქსით) გადახურვა და ფასადზე არსებული ალუკობონდის ფილების შეცვლა/გადაღებვა არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს და ქონებაზე ყადაღის დადების მიზნებს. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოს მხრიდან გაქვთ თანხმობა სასტუმრო ,,ლონდონ პალასი“-ს შენობის რეაბილიტაციაზე.

დანართი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 04 და 24 ოქტომბრის N12/24285 განჩინება 06 (ექვსი) ფურცლად.

პატივისცემით,

საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებელი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

სალომე შიოშვილი